პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან центрального и тбилисского комитетов КП (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

პარასკევი
9 ივნისი
1939 წ.
№ 130 (5530)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა თავდაცვითი მუშაობისადმი (მოწინავე)
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის სახკომსაბჭოში (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი (მე-2 გვერდი)
პასუხი შეკითხვებზე — ვერსალის საზავო ხელშეკრულება (მე-2 გვ.)
პრესის მიმოხილვა — უფრო ახლოს სკოლებთან და მასწავლებლებთან (მე-2 გვ.).
ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თავდაცვითს მუშაობას (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
დალადიეს სიტყვა (მე-4 გვ.)
გერმანული ოკუპაციის დაშლა ბოლშევიკურად (მე-4 გვერდი)
ტომ მუნის გამოსვლა (მე-4 გვ.)
ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში (1-ლი გვ.).
თურქეთის სამხედრო მისია ლონდონში (მე-4 გვ.)

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა თავდაცვითი მუშაობისადმი

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ისტორიულმა ყრილობამ მძლავრად წარმართა კომუნისტები და ყველა მშრომელი ჩვენი დიადი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ახლა მასობრივი თავდაცვითი მუშაობა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა პატრიოტიზმის პროპაგანდისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობების პოპულარიზაციასთან. სულ უფრო დაუფრო მტკიცდება მეგობრობა ჩვენს სამოქალაქო ორგანიზაციებსა, წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს შორის, მეგობრობა, გამომხატველი საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებისა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის ბრწყინვალე მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა ერთხელ კიდევ გაუსვა, რომ „ჩვენ არ გვეშინია აგრესორთა მუქარისა და მზადა ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ დარტყმას ომის გამჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა“. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, თავისი დედასამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის მხურვალე გრძნობებით გამსჭვალული, უდიდესი აღტაცებით, უდიდესი ენერგიით ეწაფება სამხედრო საქმეს, იბრძვის თავდაცვითი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

საბჭოთა პატრიოტების მილიონიანი მასები, რომლებიც აშენებენ კომუნიზმს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ერთი წუთითაც არ ივიწყებენ ამხანაგ სტალინის გენიალურ მითითებას იმის შესახებ, რომ მთელი ჩვენი ხალხი უნდა ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყველა ჯურის მტერს, ვინც შეეცდება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელყოფას.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი ეკისრება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას, რომელიც წარმოადგენს წითელი არმიის თანაშემწეს, მის მებრძოლ რეზერვს. მშრომელ მოსახლეობაში მასობრივი სამხედრო - თავდაცვითი მუშაობის ფართოდ გაშლას თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები შესძლებენ მხოლოდ მაშინ, თუ პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ.

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე რაიკომებსა, საქალაქო კომიტეტებსა, საოლქო, საშაბარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებში შეიქმნა სამხედრო განყოფილებები, რითაც დიდად გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა თავდაცვითი საკითხებისადმი. პარტიულმა ორგანიზაციებმა განამტკიცეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ახალი კადრებით, ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენებულ იქნენ მაგნებარე პატრიოტები, თავდაცვითი საქმის ენტუზიასტები.

საქართველოს მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი თავდაცვითი მუშაობის საკითხებს. რაიკომების პლენუმებზე, ღია პარტიულ კრებებზე კომუნისტები იხილავენ თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობის საკითხებს და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ დარგში მუშაობის უფრო გაღრმავებისა და გაძლიერებისათვის.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ დამახასიათებელი ფაქტები; ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნაოთლულის კვანძზე სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა გასული წლის ოქტომბერში ჩაშლილი იყო. პარტულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებით XVIII პარტყრილობის შემდეგ მაგრად მოჰკიდა ხელი თავდაცვითს საკითხებს. ღია პარტიული კრებაზე რამდენჯერმე განიხილა თავდაცვითი საკითხები, დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. პირველ რიგში კომუნისტებმა გვიჩვენებს კარგი მუშაობის მაგალითები. დღეისათვის 230 კომუნისტიდან თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრია 215 კაცი, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმები ჩაბარა 1.090 კაცმა, ვოროშილოვისებურ მსროლელად მომზადდა 83 კაცი. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ აგრეთვე მომზადებულ იქნა 15 ინსტრუქტორი და ა. შ.

ბათუმის ძერჟინსკის სახელობის სკოლა მოწინავეა სამხედრო-მასობრივი თავდაცვითი საქმის დაუფლებისათვის ბრძოლაში. სკოლამ მოამზადა 46 ვოროშილოვისებური მსროლელი, 55 „ნორჩი ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშნოსანი“, 265 „მსთ“ ნიშნოსანი და 232 საჰაერო ქიმიური თავდაცვის ნიშნოსანი.

მაგრამ სამწუხაროდ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში 3.000 კომუნისტიდან თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრია მხოლოდ 1.076 კაცი, 5.000 კომკავშირელიდან კი 1.209 კაცი. აქედან ცხადია, რომ ზოგგან კომუნისტები და კომკავშირელები ნაკლებ პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავდაცვითის საკითხებს.

ავილოთ ჭიათურის მარგანეცის სტალინის სახელობის ქარხანა — მაღაროო. ამ მაღაროში მომუშავე 120 კომუნისტიდან თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრია მხოლოდ 28 კაცი. ეს ფაქტი მოწმობს, რომ პარტიული ორგანიზაცია ამ დარგში სუსტად მუშაობს. უმოქმედობას იჩენენ აგრეთვე პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. თავდაცვითი მუშაობა სუსტად არის დაყენებული აკორმაროშიც. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს (თავმჯდომარე — ამხ. ლიტვინენკო) ერთი სხდომაც არ ჩაუტარებია, მიუხედავად იმისა, რომ 3 თვეა არჩეული. ამ ამბავს გულდამშვიდებით შესცქერის ონაშარის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბებია, ისი 3 თვის განმავლობაში აკორმაროში მხოლოდ ერთხელ ჩავიდა და ისიც 40 წუთით.

წითელწყაროს რაიონის სოფ. ძვ. ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. ნ. ბეგიაშვილს არაერთხელ მიმართეს ახალგაზრდა კოლმეურნეებმა — გვაინტერესებს თავდაცვითი საქმის შესწავლა, ჩამოგვიყალიბე სასროლო და საჰაეროქიმიური თავდაცვის წრეებიო, მაგრამ ამხ. ბეგიაშვილმა არ გაუწია ანგარიში მათს ინტერესს და დღემდე ამ მხრივ ნაბიჯი არ გადაუდგამს.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გაუკეთა სათანადო დასკვნები XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სუსტად ხელმძღვანელობს მასობრივ სამხედრო-თავდაცვითს მუშაობას.

ჩვენი საბრძოლო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ურყევად გავატაროთ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მითითებანი და XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებანი, უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდების საფუძველზე თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში ბოლშევიკური დისციპლინის დამყარება, ავამაღლოთ მოსახლეობაში მასობრივი თავდაცვითი მუშაობა, დაუღალავად ვიმუშაოთ წევამდელთა შორის, რათა მშობლიურ წითელ არმიას მივცეთ ღირსეული ცვლა ფიზიკურად ჯანსაღი და იდეურად შეიარაღებული თავდადებული პატრიოტები სოციალისტური სამშობლოსი.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში აგრეთვე თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ყველა ბოლშევიკისა და პირველ რიგში პარტიული აქტივისტის უპირველესი მოვალეობაა - დაეუფლოს სამხედრო საქმის თუნდაც ერთ რომელიმე დარგს და პირადად მიიღოს მონაწილეობა მასობრივ სამხედრო-თავდაცვითს მუშაობაში, მაგალითი უჩვენოს უპარტიოებს. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში, მხოლოდ ამით შეიძლება ავამაღლოთ პოლიტიკურ-ორმზრდელობითი მუშაობა მის ყოველ რგოლში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ზაპოროჟიეს ოლქის ქ. ბერდიანსკის ქ. ოსიპენკოდ და ბერდიანსკის რაიონის სოფელ ნოვოსპასოვკას სოფელ ოსიპენკოდ გადარქმევის შესახებ.

გადარქმეულ იქნას ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქი ბერდიანსკი ქალაქ ოსიპენკოდ და ბერდიანსკის რაიონის სოფელი ნოვოსპასოვკა სოფელ ოსიპენკოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 7 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სვერდლოვსკის ოლქის ქ. ნადეჟდინსკის ქ. სეროვად გადარქმევისა და ნადეჟდინსკის მეტალურგიული ქარხნისათვის ა. ქ. სეროვის სახელის მიკუთვნების შესახებ

1. გადარქმეულ იქნას სვერდლოვსკის ოლქის ქალაქი ნადეჟდინსკი ქალაქ სეროვად და ნადეჟდინსკის რაიონი — სეროვის რაიონად.

2. მიეკუთვნოს ა. ქ. სეროვის სახელი ნადეჟდინსკის მეტალურგიულ ქარხანას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 7 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრისა და ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დაჯილდოების შესახებ

თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და ნაციონალური მხატვრული კადრების აღზრდისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 7 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მსახიობ ალმასბეკ ბაიმატოვის ქალაქ სეროვში არტისტის სახელწოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს და ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მსახიობს ალმასბეკ **ბაიმატოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 7 ივნისი

ყირგიზული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ყირგიზული სათეატრო ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრისა და ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონიის 71 მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ანვარ **კუტუბაევა** — ყირგიზეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მსახიობი და ბალეტმეისტერი **მალდიბაევი** — ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მსახიობი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, **„სახალხო ნიშნის“** ორდენით—29 კაცი, **მედლით — „შრომითი წარჩინებისათვის“** — 25 კაცი. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

7 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა დაჯილდოებულთ გადასცა ორდენები და მედლები.

სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ და ლენინის ორდენი ეძლევა მაიორს ამხ. ო. ნ. ბოროვკოვს.

ორდენები და მედლები ეძლევა წითელი არმიის იმ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დიდ ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გულადობისა და მამაცობისათვის, რაც მათ ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს გამოიჩინეს.

შემდეგ ორდენები და მედლები ეძლევა მეთაურებს, რომელნიც დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში დიდი წარმატების მიღწევისათვის.

ორდენები და მედლები ეძლევა აგრეთვე მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და შინსახკომის ჯარის დაჯილდოებულ მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

შემდეგ ჯილდოები, ეძლევა ხარკოვის ძერჟინსკის სახელობის კომბინატისა და ცენტრალური რადიოლაბორატორიის იმ მუშაკთა ჯგუფს, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი. ისინი დაჯილდოებული არიან დიდი წარმატებებისათვის, სამხედრო ტექნიკით წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვის საქმეში, ახალ ნიმუშების შექმნისათვის და პროდუქციის გამომუშავების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. (საკდესი).

სუბსტრატოსტატის ხანგრძლივი ფრენა

3 ივნისს 21 საათსა და 36 წუთზე მოსკოვის მიდამოებიდან სავარჯიშო ფრენის ჩასატარებლად გაფრინდა სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ—62“. მის გონდოლაში იყვნენ ახალგაზრდა აერონაოსნები ამხ. გ. გოლიშევი და ბ. ნევერნოვი.

სუბსტრატოსტატის ფრენა პირველ ღამეს ნორმალურად მიმდინარეობდა. 4 ივნისს ამხ. გოლიშევმა და ნევერნოვმა მნიშვნელოვან სიმაღლეზე ავიწიეს, საჰაერო ბურთი დიდი სისწრაფით განაგრძობდა ფრენას დასახული მარშრუტით — აღმოსავლეთისაკენ.

4 ივნისს საღამოს მეტეოროლოგიური პირობები მკვეთრად გართულდა. აერონაოსნებმა გადასწყვიტეს დაშვებულიყვნენ თათრეთის ასს ტერიტორიაზე. 4 ივნისს საღამოს სუბსტრატოსტატი „სსსრ ვრ—62“ მშვიდობით დაეშვა ყაზანის რაიონში; მან ჰაერში დაჰყო დაახლოებით 1 დღე-ღამეს.

(საკდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საბჭოთა კავშირის გმირების ა. ქ. სეროვისა და პ. დ. ოსიპენკოს ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. მიეკუთვნოს ა. ქ. სეროვის სახელი ჩიტის სამხედრო-საავიაციო სკოლას და სვერდლოვსკის საოლქო აეროკლუბს.

2. წინადადება მიეცეს მოსკოვის საბჭოს დაარქვას ქ. მოსკოვის ლუბიანკის გასავლელს ა. ქ. სეროვის სახელობის გასავლელი.

3. დაიდგას ა. ქ. სეროვის ძეგლი სვერდლოვსკის ოლქის ქ. ნადეჟდინსკში.

4. მიეცეს ერთდროული დახმარება ა. ქ. სეროვის ცოლს — ვალენტინა ვასილის-ასულ სეროვას 5 ათასი მანეთი და ა. ქ. სეროვის შვილებს: მამას—კონსტანტინე ტერენტის-ძეს და დედას — ლიუბოვ ფროლის-ასულს 5 ათასი მანეთი.

* * *

1. მიეკუთვნოს პ. დ. ოსიპენკოს სახელი ბერდიანსკის სამასწავლებლო ინსტიტუტს.

2. მიეკუთვნოს პ. დ. ოსიპენკოს სახელი ოდესის სამხედრო-საავიაციო სკოლას და დნეპროპეტროვსკის საოლქო აეროკლუბს.

3. მოეწყოს ქ. ბერდიანსკში პ. დ. ოსიპენკოს სახელობის აეროკლუბი.

4. დაიდგას პ. დ. ოსიპენკოს ძეგლი ზაპოროჟიეს ოლქის ბერდიანსკის რაიონის სოფელ ნოვოსპასოვკაში.

5. წინადადება მიეცეს მოსკოვის საბჭოს დაარქვას ქ. მოსკოვის სადონენჩესკი ქუჩას პ. დ. ოსიპენკოს ქუჩა.

6. მიეცეს ერთდროული დახმარება პ. დ. ოსიპენკოს დედას — ფეოდოსია თევდორეს-ასულ დუდნიკს 5 ათასი მანეთი და პ. დ. ოსიპენკოს დას—ეფროსინე დენისის-ასულ ბრავკოს, რომელთანაც იზრდებოდა პ. დ. ოსიპენკო—3 ათასი მანეთი.

7. დაენიშნოს მუდმივი პერსონალური პენსია პ. დ. ოსიპენკოს დედას ფეოდოსია თევდორეს-ასულ დუდნიკს 300 მანეთი თვეში და დას—ეფროსინე დენისის-ასულ ბრავკოს —200 მანეთი თვეში.

აკადემიკოს ნ. ს. კურნაკოვის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 7 ივნისის ბრძანებულებით, ქიმიის დარგში ღირსშესანიშნავი მეცნიერული მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი ნიკოლოზ სიმონის-ძე კურნაკოვი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

მაისის დამლევს შესდგა ინჟინერთა და ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სექციათაშორისო ბიუროს VI პლენუმი, რომელმაც მიზანშეუწონლად სცნო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სექციის დამოუკიდებლად არსებობა პროფკავშირების შიგნით. პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა ინჟინრებისა და ტექნიკოსების უფრო ფართოდ და აქტიურად ჩაბმა პროფკავშირთა საერთო მუშაობაში.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინჟინერთა და ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სექციათაშორისო ბიუროს VI პლენუმის დადგენილება. ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა არჩევნების დროს უზრუნველჰყონ იმ აქტიური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წამოყენება პროფორგანოების შემადგენლობაში, რომელთაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ და საწარმოო სამუშაოზე.

(საკდესი).

ВОИНСКАЯ СЛУЖБА В РАБОЧЕ-КРЕСТЬЯНСКОЙ КРАСНОЙ АРМИИ ПРЕДСТАВЛЯЕТ ПОЧЕТНУЮ ОБЯЗАННОСТЬ ГРАЖДАН СССР.

„სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“.
მხატვარ ვ. კლიმაშინის პლაკატი, გამომცემლობა „ისკუსტვოს“ გამოშვება.

ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 8 ივნისი (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების საკითხზე სიტყვა წარმოსთქვა ჩემბერლენმა, რომელმაც განაცხადა, რომ ზოგიერთი მოსაზრებით, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს პალატამ, მე არ შემიძლია ყოველდღე მივაწოდო ინფორმაცია ინგლისსა, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების დადებაზე მოლაპარაკების განვითარების შესახებო. „მაგრამ,—თქვა ჩემბერლენმა,—მოლაპარაკებამ ისეთ სტადიას მიაღწია, რომელიც საშუალებას მაძლევს შევავსო ჩემი 24 მაისის განცხადება. საბჭოთა მთავრობასთან აზრთა უკანასკნელი გაცვლა-გამოცვლიდან ცხადად სჩანს, რომ მომავალი შეთანხმების ძირითად მუხლებში საერთო თვალსაზრისი არსებობს. საბჭოთა მთავრობა, მე ვფიქრობ, დაკმაყოფილებულია იმით, რომ ინგლისის მთავრობა მზადაა დასდოს შეთანხმება სრული სამაგიერობის საფუძველზე. ინგლისის მთავრობამ სრულიად გარკვევით აღნიშნა, რომ იგი მზად არის ყოველი შენიშვნის გარეშე საფრანგეთის მთავრობასთან დაუყოვნებლივ გაუწიოს საბჭოთა კავშირს სრული სამხედრო დახმარება, უკეთუ მის წინააღმდეგ მოხდება აგრესიის აქტი, რის შედეგადაც სსრ კავშირი იძულებული იქნება ჩაებას ომში ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრული სამხედრო დახმარება, რომლის გაწევასაც სამი სახელმწიფო დასთანხმდება, უნდა შეიზღუდოს ფაქტიური აგრესიის შემთხვევებით მათ საკუთარ ტერიტორიაზე. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა შემთხვევები, რომელსაც ერთერთი ამ სამი მთავრობათაგანი დაინახავს, რომ მის ქვეყანას ევროპის სხვა სახელმწიფოს მოქმედების შედეგად არაპირდაპირი მოვლის საშიშროება. ეს შემთხვევები დაწვრილებითაა განხილული და, ჩემის აზრით, ახლა შეიძლება წაართმევადგინო ფორმულა, მისაღები სამი მთავრობისათვის, რომლებიც, სხვა სახელმწიფოთა ინტერესების მხედველობაში მიღებით, უზრუნველჰყოფენ ამ სახელმწიფოთა ურთიერთ თანამშრომლობას აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში. გადასაწყვეტი დარჩა ერთი თუ ორი ძნელი საკითხი. კერძოდ, სიძნელე წარმოიშვა ზოგიერთ იმ სახელმწიფოთა პოზიციასთან დაკავშირებით, რომელთაც არ სურთ მიიღონ გარანტიები იმ საფუძვლით, რომ ამას შეუძლია დაარღვიოს მტკიცე ნეიტრალიტეტი, რომელიც მათ სურთ დაიცვან. ცხადია, შეუძლებელია თავს მოვახვიოთ გარანტიები იმ ქვეყნებს, რომელთაც არ სურთ მათი მიღება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ზოგიერთი გზა ამ სიძნელისა და აგრეთვე ყოველი სხვა საკითხის გადასალახავად, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შეთანხმების დადების დროს, გამონახული იქნება.

მოლაპარაკების დაჩქარების მიზნით გადაწყვეტილია გაიგზავნოს მოსკოვს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც გააცნობს ინგლისის ელჩს ინგლისის მთავრობის პოზიციას ყველა ძირითად საკითხში. ვიმედოვნებ, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება მაღე დავამთავროთ მოლაპარაკება, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროა იმისათვის, რომ მივაღწიოთ სამი მთავრობის თვალსაზრისის ერთიანობას და შეთანხმებას“.

უკანასკნელი ცნობები

გერმანია-დანიის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). გერმანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტექსტი ბერლინში ა. წ. 31 მაისს ხელმოწერილი გერმანია-დანიის პაქტისა თავდაუსხმელობის შესახებ. პაქტში ნათქვამია:

„გერმანიის რაიხსკანცლერი და მისი უდიდებულესობა დანიისა და ისლანდიის მეფე, მტკიცე გადაწყვეტილებით — ყოველ პირობებში დაიცვან მშვიდობიანობა გერმანიასა და დანიას შორის, შეთანხმდნენ განამტკიცონ ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ხელშეკრულების საშუალებით და ამისათვის რწმუნება მისცეს:

გერმანიის რაიხსკანცლერმა — საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპს.

მისმა უდიდებულესობამ დანიისა და ისლანდიის მეფემ — საგანგებო ელჩსა და სრულუფლებიან მინისტრს ბერლინში ცალეს, რომელმაც თავიანთ რწმუნებათა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიაღწიეს შემდგომ შეთანხმებას:

პარაგრაფი 1. გერმანიის იმპერია და დანიის სამეფო არავითარ პირობებში არ მიმართავენ ერთმანეთის წინააღმდეგ ომს ან ძალადობის გამოყენების სხვა ფორმას.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება მესამე სახელმწიფოს მხრივ პირველ აბზაცში აღნიშნული მოქმედება, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე არავითარი სახით არ დაუჭერს მხარს ამ აქციებს.

პარაგრაფი 2. ეს ხელშეკრულება უმოკლეს ვადაში იქნება რატიფიცირებული და ბერლინში მოხდება ხელშეკრულების რატიფიცირებული ტექსტების გაცვლა-გამოცვლა. ამ გაცვლა - გამოცვლის მომენტიდან ხელშეკრულება ძალაში შედის და 10 წლის განმავლობაში იმოქმედებს. იმ შემთხვევაში, თუ არა უგვიანეს ერთი წლისა ამ ვადის გასვლამდე, ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე არ განაცხადებს უარს ხელშეკრულებაზე, მისი მოქმედების ვადა კიდევ 10 წლით გაგრძელდება. შედგენილია ორ ცალად, მათგან ერთი გერმანულ და მეორე დანიურ ენაზე.

ხელშეკრულების ხელმოწერისას შედგენილია შემდეგი ოქმი:

„გერმანია-დანიის ხელშეკრულების ხელმოწერის ამა დღეს ორივე მხარემ მიაღწია შემდეგ შეთანხმებას:

დახმარებად არ ჩაითვლება, პირველი მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მეორე აბზაცი, ხელშეკრულების ერთერთი მონაწილის მხრივ, რომელიც არ იღებს მონაწილეობას კონფლიქტში, თუ ამ მონაწილის საქციელი შეესაბამება ნეიტრალიტეტის სიერთო წესებს. ამიტომ დაუშვებელ დახმარებად არ ჩაითვლება, თუ მესამე სახელმწიფოსა და იმ მხარეს შორის, რომელიც კონფლიქტში მონაწილეობას არ იღებს და ხელშეკრულებას ხელს აწერს, გაგრძელდება ნორმალური საქონელბრუნვა და საქონლის ტრანზიტი.

ბერლინი, 1939 წლის 31 მაისი. ხელი მოაწერეს რიბენტროპმა და ცალემ“.

ხელი მოაწერეს გერმანიასა, ლატვიასა და ესტონეთს შორის თავდაუსხმელობის პაქტს

ბერლინი, 7 ივნისი (საკდესი). გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულია ტექსტები თავდაუსხმელობის პაქტებისა, გერმანიასა და ლატვიას შორის და გერმანიასა და ესტონეთს შორის.

ამ ხელშეკრულებათა ტექსტები იმეორებს გერმანიასა და დანიას შორის 31 მაისს ხელმოწერილი პაქტის ტექსტს. ორივე პაქტი დადებულია 10 წლის ვადით.

გერმანია-ლატვიის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს რიბენტროპმა და მუნტერსმა; გერმანია-ესტონეთისას — რიბენტროპმა და სელტერმა.

ჯგუფური გაძმოხტომა ღამით

ჩრდილო - კავკასიის სამხედრო ოლქი, 8 ივნისი (ტელეფონით საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). პარაშუტისტთა სრულიად-საარმიო შეკრების მონაწილენი ამ უკანასკნელ დღეებში ემზადებოდნენ ღამის ჯგუფური გადმოხტომისათვის.

7 ივნისს, ღამით, ყველა წინასასტარტო მუშაობა დამთავრებული იყო. დღეს 1 საათსა და 50 წუთზე ორი მძიმე მრავალმოტორიანი გემი ჰაერში აფრინდა. ამ თვითმფრინავებზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის საპარაშუტო სამსახურის 27 ინსტრუქტორი იყო. თვითმფრინავები მტკიცედ იწევდნენ მაღლა.

ამ მანქანებმა უკვე 5.200 მეტრ სიმაღლეს მიაღწია. შტურმანი—უფროსი ლეიტენანტი ამხ. პაქსიმოვი—ჰაერში უშვებს თეთრ შუშხუნას. სიგნალია:

— მოემზადეთ გადმოხტომისათვის!

გაიღო მძიმე საჰაერო გემების კარები. სამხედრო პარაშუტისტები ძირს გადმოსაშვებად მოემზადნენ.

2 საათი და 35 წუთია. შტურმანი მეორე სიგნალს იძლევა. თვითმფრინავების თავზე ავარდა წითელი შუშხუნა:

— გასწით!

მანქანებს თითქმის ერთსადაიმავე დროს 27 კაცი სტოვებს. ხტებიან ამხ. ჩერნიშევი, კოსარი, დედიუნინი, რომანიუკი, პოლოსუხინი... პარაშუტები უცბად იხსნება. დაშვება ნელდება.

დაშვება 10-15 წუთს გრძელდება. ყველა პარაშუტისტი მტკიცედ დასახულ ადგილას — საკომანდო პუნქტში დაეშვა.

5.200 მეტრ - სიმაღლიდან ღამის ჯგუფური გადმოხტომა ბრწყინვალედ ჩატარდა. ამ გადმოხტომის ყველა მონაწილე ჯანსაღად და მხნედაა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

(1-ლი გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

7 ივნისს გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი. პლენუმი ძირითადად მიძღვნილია სასამართლო კოლეგიების დადგენილებებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტების განხილვისადმი. პლენუმი განიხილავს აგრეთვე კონტრრევოლუციური აგიტაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის საკითხს, წყალთა ტრანსპორტის სახაზო სასამართლოებისადმი საქმეების ქვემდებარეობის საკითხს და სხვ.

პლენუმმა უწინარეს ყოვლისა განიხილა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი საფრონოვის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გამო. 1938 წლის 12 თებერვალს ომსკის სადგურზე დაიმსხვრა სატვირთო მატარებელი. ამ საქმეზე მსჯავრდადებულთა შორის იყო ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის ბრიგადირი საფრონოვი. მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სახაზო სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო იმაში, რომ მან არ მოითხოვა ავტომუხრუჭების ჩართვა და ვაგონებში არ გაანაწილა ხელით დამამუხრუჭებელი აპარატები, თუმცა იცოდა, რომ იგზავნებოდა ისეთი მატარებელი, რომლის ავტომუხრუჭები არა მუშაობდა. მაგრამ საქმის მასალებიდან სჩანს, რომ საფრონოვს მატარებლის შედგენასთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია. მის მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თვალყური ედევნებინა სავალი ნაწილებისთვის. საფრონოვი ბრიგადირის თანამდებობაზე მატარებლის დამსხვრევამდე მხოლოდ 3 დღით ადრე იქნა დაწინაურებული.

პლენუმი დაეთანხმა თავმჯდომარის პროტესტს და დაადგინა საფრონოვის საქმე შეწყვეტილ იქნას.

პლენუმზე განხილულ იქნა აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი ენინის საქმეზე. დამთვრალი ენინი წაეჩხუბა თავის ცოლ ლარკოვას და სცემა მას. ძერჟინსკის სახელობის რკინიგზის სახაზო სასამართლომ ენინს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. ამ სასამართლოს დასკვნებში აღნიშნულია: ენინმა თავის ცოლს იმისათვის სცემა, რომ იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა (ლარკოვა იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი). მაგრამ მოწმეებისა და თვით ლარკოვას ჩვენებით ეს ბრალდება არ დადასტურდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სცნო, რომ ეს საქმე სახალხო სასამართლოს არ ექვემდებარება. განიხილა რა პროტესტი არსებითად, პლენუმმა დაადგინა — საქმე შეწყვეტილ იქნას.

(საკდესი).

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა გაღაჭარბებით შეასრულეს მაისის გეგმა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა მაისის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. მაისში საუცხოო მაჩვენებლები აქვთ თბილისის ქეჩის, ბამბისა და ბამბის ძაფსართავ ფაბრიკებს. უკანასკნელმა ორმა საწარმომ ხუთი თვის გეგმაც კი შეასრულა.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია თბილისის მაუდის ფაბრიკამ, რომელმაც გამოუშვა 112 ათასი მეტრი შალეული ქსოვილი. საერთოდ პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა მან 107,7 პროც. შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა კი —103,1 პროცენტით. წინანდებურად ჩამორჩება ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მთავარსამმართველოს საწარმოებმა მაისში სულ გამოუშვეს 2.017.000 მანეთის პროდუქცია (1926-27 წ. უცვლელი ფასებით). საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 112,1 პროცენტითაა შესრულებული.

წარმატებითი მუშაობის შედეგად აპრილსა და მაისში თვალსაჩინოდ არის ლიკვიდირებული ჩამორჩენა, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ კვარტალში. საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა პირველი კვარტალის გეგმა 88,7 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ხუთი თვის გეგმა უკვე შესრულებულია 97 პროცენტით. (საქდესი).

საწყეო მრეწველობის საწარმოთა ახალი წარმატებანი

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა კოლექტივი მტკიცედ, თვიდან თვემდე ახალ წარმატებებს აღწევს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხეთის სატყეო მრეწველობის მეურნეობის, ზუგდიდის სატყეო მეურნეობისა და ბორჯომის სატყეო კომბინატის შემდეგ ნახევარი წლის გეგმა 1 ივნისს ვადამდე შეასრულა ხარაგოულის სატყეო მეურნეობამ.

სახალხო კომისარიატის საფაბრიკო - საქარხნო საწარმოთა პირველობისათვის გამართულ შეჯიბრებაში მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა თბილისის საფანერო ქარხანამ, რომელმაც 6 თვის გეგმა 1-ლ ივნისს შეასრულა. ჩინებულად მუშაობს აგრეთვე მარელისის ავეჯის ფაბრიკა და ბათუმის ფანერის ქარხანა.

ტყის გამოზიდვის მაისის გეგმა შესრულებულია 109,6 პროცენტით, სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების მაისის გეგმა 124 პროცენტით შეასრულეს.

(საქდესი).

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მოწინავე მაღაროები

ჭიათურა, (საქდესი). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს თვიური დავალება.

ლენინის სახელობის მაღარომ მაისში მოგვცა 13.411 ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქცია, რაც გეგმის 105,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო ვოროშილოვის სახელობის მაღარომ მაისში მოგვცა 6.886 ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქცია, ნაცვლად 6.200 ტონისა.

საუცხოო შედეგებს მიაღწია ლენინის სახელობის მაღაროს მესამე უბანმა (უბნის გამგე ლ. არსენიძე), რომელმაც მაისის გეგმა 115,2 პროცენტით შეასრულა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პირველმა უბანმა (უბნის გამგე ამხ. რ. სადუნიშვილი), რომელმაც მაისის გეგმა 129,5 პროცენტით შეასრულა.

გარდამავალი დროშა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის

ბათუმი, (საკ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის ჟიურის დადგენილებით, ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ამავე რესპუბლიკის მიწსახკომის გარდამავალი დროშა გადაეცა ბათუმის რაიონს, რომელმაც მოჰკრიფა 433.188 კილოგრამი ჩაის ფოთოლი — გეგმის 109,6 პროცენტი, აქედან 94,7 პროცენტი პირველი ხარისხისა.

ამ დღეებში ბათუმის რაიონში შედგა სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ჩაის სპეციალისტებისა და სტახანოველთა თათბირი, რომელმაც მოისმინა მიწგანის გამგის მოხსენება ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმის შესრულებისა და ივნისის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის შესახებ.

ამავე თათბირზე გამოქვეყნდა რაიონული ჟიურის დადგენილებაც. საბჭოთა მეურნეობებიდან გარდამავალი დროშა მიეკუთვნა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ხ. იორდანიდი), რომელმაც თვიური გეგმა შეასრულა 110,6 პროცენტით.

სასოფლო საბჭოებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და გარდამავალი დროშა მიიღო თხინვალმა (თავმჯდომარე ი. გელაძე), სადაც ჩაის ფოთლის კრეფის თვიური გეგმა შესრულებულია 133,2 პროცენტით.

გარდამავალი დროშა მიეცა აგრეთვე სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. ქავთარაძე), რომელმაც მაისის გეგმა 114,3 პროცენტით შეასრულა.

ბათუმის რაიონმა გარდამავალი დროშის მიღებასთან დაკავშირებით ვალდებულება აიღო ჩაის კრეფის ივნისის გეგმა (240 ტონა) შეასრულოს 20 ივნისისათვის.

ქ. დოგოლრჯგინიძე

ემზადებიან მოსავლის აღებისათვის

სამტრედია, (ტელეფონით საკ. კორ.). სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ იხილავენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 28 მაისის დადგენილებას „1939 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისათვის მზადების შესახებ“.

კოლმეურნეობათა კრებებზე დასახეს ღონისძიებანი მოსავლის აღების დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

სამტრედიის მტს-ების მუშაკებმა აღნიშნულ დადგენილებას ახალი გამარჯვებებით უპასუხეს. მათ 2 სალეწი მანქანის რემონტი უნდა დაემთავრებინათ 5 ივნისამდე, ფაქტიურად დაამთავრეს 1 ივნისისათვის.

სოფელ იანეთის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე აიღეს ვალდებულება, რომ ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აიღებენ მოსავალს, პურის ერთი ჰექტარი ნათესიდან ნაცვლად 8 ცენტნერისა მიიღებენ 10-15 ცენტნერ მოსავალს. გ. სიხარულიძე

რამის აღება დაიწყო

სილნაღი (საკ. კორ.). 7 ივნისს რამის საბჭოთა მეურნეობამ დაიწყო რამის პირველი მოსავლის აღება. ერთი დღის განმავლობაში რამის წედლეული აღებულ იქნა 2 ჰექტარზე. მოსავლის აღებაზე 9 ბრიგადა მუშაობს.

ქ. ბეჭაშვილი

მზად არ არიან მოსავლის ასაღებად

მცხეთა, 8 ივნისი (საქდესი). იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მცხეთის მტს-ი უწევს მომსახურებას, წელს თავთავიანი კულტურების მოსავალი 6.317 ჰექტარზეა ასაღები, აქედან მტს-მა კომბაინებით უნდა აიღოს 1.100 ჰექტარი.

მოსავლის აღება 15-20 ივნისიდან უნდა დაიწყოს. მიუხედავად ამისა, მოსავლის ასაღებად არც კოლმეურნეობანი არიან მზად და არც მტს-ი. მტს-ის დირექციის განცხადებით, კომბაინების შეკეთება უკვე დამთავრებულია, ფაქტიურად კი კომბაინებზე ძრავები დღემდე დადგმული არ არის და, რაც მთავარია, ისინი აქტით არ არის ჩაბარებული.

უარესი მდგომარეობაა სალეწების შეკეთების მხრივ. 10 სალეწიდან დღემდე საბოლოოდ მზად არის მხოლოდ 2. ყველას აკლია ხის ნაწილები, რაც გამოწვეულია ფიჭვის მასალის უქონლობით. ასეთი მასალის შეძენის შესაძლებლობა ჯერ კიდევ ერთი თვის წინად იყო, მაგრამ მაშინ არ იყიდეს, დურგალ მამაცაშვილის განცხადებით კი ამ ნაწილების დამზადებას სულ ცოტა ერთი თვე მაინც დასჭირდება.

მოსავლის ასაღები მანქანები, რაც კოლმეურნეობას აქვს, შეკეთებული არ არის. დღემდე არ არის გამოკვეული, თუ როგორ იქნება კოლმეურნეობის მანქანების შეკეთების საქმე. კოლმეურნეობათა უმრავლესობას ჯერ კიდევ არა ჰყავს საჭირო კადრები, რომ დამოუკიდებლად შეაკეთონ მანქანები. მტს-სს კი არ უფიქრია იმაზე, რომ მოძრავი სახელოსნო მოეწყო და ადგილზე დახმარებოდა კოლმეურნეობებს მანქანების შეკეთებაში. ამასთან ერთად მტს-სს სწორი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში აქვს კოლმეურნეობას მოსავლის ასაღები მანქანები. მტს-ის უფროსი აგრონომი ფეთელავა აცხადებს: ერთ კოლმეურნეობაში ვიყავი, იქ მანქანები შეკეთებულია და ასეთი მდგომარეობა „იქნება“ ყველგანო.



სილნაღის რაიონის წნორის მტს-ის კომბაინი კოლმეურნეობა „წინამხარის“ ჭერის აღებაზე.
სურათზე: კომბაინერი ა. სიხაშვილი, მეშტურვალე გ. ალადაშვილი და ტრაქტორისტი მ. კაკაშვილი აგრეგატზე.
საქდესის ფოტოქრონიკა

კრების მიმოხილვა

უფრო ახლოს სკოლებთან და მასწავლებლებთან

უკვე თვეზე მეტი გავიდა, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოვა სოფლის სკოლების ოთხი ათასზე მეტი მოწინავე მასწავლებელი. მოწინავე მასწავლებელთა დაჯილდოებამ სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსო არა მარტო მასწავლებლობის, არამედ აგრეთვე მთელი საბჭოთა ხალხის გული. სურვილი—გაუსწორდნენ მოწინავეებს, იმუშაონ ისე, როგორც მუშაობენ ორდენოსნები—ახალი საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ყველა მასწავლებელს, სკოლის ყველა მუშაკს.

რა ამოცანა იდგა და დგას ამასთან დაკავშირებით პედაგოგიური პრესის წინაშე?

პედაგოგიური პრესის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საფუძვლიანად, ცოცხლად და მრავალფეროვნად აჩვენოს ორდენოსანი პედაგოგების შესანიშნავი გამოცდილება. პრესის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტულად აჩვენოს, რით დაიმსახურეს ორდენოსნებმა ეს უმაღლესი ჯილდო, რა გააკეთეს მათ სამშობლოსათვის, ხალხისათვის, ლენინ-სტალინის პარტიისათვის.

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ (საქართველოს სსრ განსახკომის და თბილისის განათლების განყოფილების ორგანო) ჯერჯერობით ვერ გვიჩვენებს, რომ მას ესმის ეს ამოცანა და იბრძვის მისი განხორციელებისათვის და, გარდა ამისა, მას მრავალი სხვა ნაკლოვანებებიც ახასიათებს.

ჯერ-ერთი, — დამახასიათებელია თვით ის ფაქტი, რომ გაზეთმა დააგვიანა დაჯილდოებული სიის გადაბეჭდვა. საქართველოს ცენტრალურ გაზეთებში დაჯილდოებულთა სია 8 მაისს გამოქვეყნდა. მეორე დღეს, 9 მაისს, გამოვიდა გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ მორიგი ნომერი, რომელმაც ფაქტიურად გვერდი აუარა ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — არც დაჯილდოებულთა სია გადაბეჭდა და მოწინავე სტატიაშიც არაფერი სთქვა ამ საკითხზე. მხოლოდ 12 მაისს, მაშინ, როცა უკვე მთელმა საქართველომ იცოდა თავისი ორდენოსანი მასწავლებლები, როცა უკვე ხალხი აღმაფრთოვანებელ მიტინგებს უმართავდა თავის სახელოვან პედაგოგებს, მხოლოდ მაშინ დაბეჭდა „საბჭოთა მასწავლებელმა“ დაჯილდოებულთა სია. ეს ძალიან ჰგავს დაჯილდოების მნიშვნელობის შეუფასებლობას.

მეორე,—გაზეთმა აქამდე მხოლოდ ის მოაბერხა, რომ დაბეჭდა ინფორმაციები მიტინგების შესახებ და დაჯილდოებულთა პატარ-პატარა წერილები, მან ვერ მოახერხა საფუძვლიანად ეჩვენებინა თუნდაც ერთი ორდენოსანი მასწავლებლის ცხოვრება და მუშაობა. გაზეთმა აქამდე ვერ შესძლო დაებეჭდა თუნდაც ერთი წერილი დაჯილდოებულთა პედაგოგიურ ოსტატობაზე, მათს მეთოდზე, მათს გამოცდილებაზე. ეს ძალიან ჰგავს დაჯილდოებიდან გამომდინარე ამოცანების გაუგებლობას.

მესამე,—12 მაისის ნომერში გაზეთმა დაჯილდოებულთა სიასთან ერთად დაბეჭდა მოწინავეც ამავე საკითხზე. ეს მოწინავე ისე, როგორც ამ გაზეთის მრავალი სხვა მოწინავე, ნათლად გვიჩვენებს, რომ გაზეთი მეტად ზერელედ იცნობს სკოლათა და მასწავლებელთა ცხოვრებას. მოწინავე ზოგადი ფრაზების კორიანტელს აყენებს იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულებმა „თავი ისახელეს სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე (?!?—**რედ.**) ყველა დარგში (?!?—**რედ.**)“, კონკრეტულად კი მოწინავემ მხოლოდ ის შესძლო ეთქვა მკითხველისათვის, თუ დაჯილდოებულთა შორის ვინ არის ახალგაზრდა და ვინ ხანში შესული. მოვუსმინოთ:

„საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საშუალო სკოლის **ახალგაზრდა** დირექტორი ნიკოლოზ ორენტის-ძე ახვლედიანი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით; **ხანში შესული**, დიდი გამოცდილების მქონე, წარჩინებული მასწავლებელი აქსენტი გახტანგის-ძე ძიმისტარაშვილი (ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის საშუალო სკოლის) დაჯილდოებულია სპატიო ნიშნის ორდენით; ონის რაიონის სოფელ ღების საშუალო სკოლის **ახალგაზრდა** დირექტორი მაქსიმე თედორეს-ძე გობეჯიშვილი ღირსი გახდა დაჯილდოებინათ სპატიო ნიშნის ორდენით: ნახაპეტ აკოფის-ძე აკოფიანი (სწავს რედაქციამ ვეღარ მოახერხა იმის გაგება, აკოფიანი ახალგაზრდაა თუ ხანში შესული—**რედ.**) — ბოგდანოვკის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე—შრომის წითელი დროშის ორდენით...“.

და ასე გრძელდება დაჯილდოებულთა ჩამოთვლა, დაჯილდოებულთა მუშაობის ჩვენების ნაცვლად.

ეს ძალიან ჰგავს საკითხისადმი ზერელედ მიდგომას.

მეოთხე—ადამიანთა და ფაქტთა მხოლოდ ჩამოთვლა, ადამიანთა მუშაობის ჩვენებისა და ფაქტთა ახსნის გარეშე ტიპიურია გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ მოწინავე სტატიისათვის. ავიღოთ, თუნდაც გაზეთის შემდეგი ნომრის—15 მაისის მოწინავე. ეს სტატია ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ეხება. მოწინავე ჩამოსთვლის იმ რაიონებს, სადაც კარგად მიმდინარეობს მზადება და იმ რაიონებსაც, სადაც მზადება ჩამორჩენილია. როგორ „ხსნის“ ამას მოწინავე?.

„ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, ჩვენი სკოლების წინაშე დასმული დიდი ამოცანების მთელი პასუხისმგებლობით გათვალისწინების შედეგად კარგად მიმდინარეობს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში“.

ეს წარმატებების „ახსნა“. ახლა ჩამორჩენილთა შესახებ:

„1939-40 სასწავლო წლისათვის მზადება მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამას (რას?—**რედ.**) ანგარიშს არ უწევს ზოგიერთი მუშაკი—მოუქნელად, უხეიროდ მუშაობს ამ მიმართულებით (რა მიმართულებით?—**რედ.**), უდარდელობას იჩენს“. აი მთელი „ახსნა“. რასაკვირველია უფრო ადვილია წარმატება „მთელი პასუხისმგებლობის გათვალისწინების“ შედეგად გამოაცხადო, ხოლო ჩამორჩენა — „უპასუხისმგებლობის“, „მოუქნელობის“, „უდარდელობის“ შედეგად, ვიდრე კონკრეტულად შეისწავლო ესა თუ ის უბანი და უჩვენო წარმატების თუ ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი. რასაკვირველია, უფრო ადვილია განსახკომიდან მიიღო ცნობები და ამ ცნობებიდან დასკვნები აკეთო, ვიდრე უშუალოდ დაუკავშირდე ადგილებს, უშუალოდ შეისწავლო ადამიანები და საქმეები.

მეხუთე,—ზემოთ მოყვანილი ფაქტი შემთხვევითი როდია: ამ გაზეთში ზერელობა, დაუფიქრებლობა ხშირად გვხვდება. აი რამდენიმე მაგალითი:

გაზეთის 22 თებერვლის ნომერში ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაიბეჭდა თბილისის ერთერთი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ასეთი ვალდებულება:

„1. შეეადგენ საშუალო სკოლის სასწ. ნაწილის გამგის სამუშაო გეგმას და საესებით განახორციელებ მას“.

სასწავლო ნაწილის გამგე თებერვალში გვპირდება თავისი „სამუშაო გეგმის შედგენას“ და წარმოიდგინეთ მის „საესებით განხორციელებას“! რა დიდი „მიღწევაა“!.

12 აპრილის ნომერში დაბეჭდილია მოწინავე სტატია — „დაუნდობელი ბრძოლა თვალთმაქცობის და ლიბერალიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში“. ამ მოწინავეში რედაქცია თვალთმაქცებად და ლიბერალებად ნათლავს ხობის, წულუკიძის, სამტრედიის და ონის რაიონების ზოგიერთი საშუალო სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს. რატომ? რა საბუთით? იმიტომ, რომ ამ სკოლებიდან შარშან გამოშვებული თითო ფრაიდოსანი უნივერსიტეტში ვერ სწავლობს ფრაიდზე! საკმაოდ ახირებული კრიტერიუმია!

18 მაისის ნომრის მოწინავე სტატია სკოლის დირექტორის მუშაობას ეხება. იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო სკოლის დირექტორი, მოწინავე სტატია ასეთ „ღრმააზროვან“ განმარტებას იძლევა:

„იყო საბჭოთა სკოლის დირექტორი—ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიამ და მთავრობამ მოგანდო უხელმძღვანელო ახალი თაობის ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს, მინდობილი გაქვს იყო „მშრომელთა ფართო ფენებზე ზეგავლენის მძლავრი იარაღის“ ხელმძღვანელი. ყველა ეს (რა?—**რედ.**) მოითხოვს შეგწევდეს უნარი სკოლის მუშაობის სწორად და მაღალხარისხოვნად წარმართვისათვის, სარგებლობდე ავტორიტეტით მასწავლებლებში, მოსწავლეებში, მშრომელთა ფართო მასებში—იდეს სკოლის დირექტორის მოწოდების სიმაღლეზე“. რა ღრმა „ფილოსოფიაა“. არანაკლები სიბრძნით არის სავსე ზოგიერთი დირექტორის ცუდი მუშაობის „ახსნაც“.

„ცუდად მომუშავე დირექტორებმა ვერ გაიგეს ის, რომ საჭიროა გულისხმიერება, მონდომება, სიბეჯითე, მუდმივი ზრუნვა თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რათა იყო სკოლის ღირსეული ხელმძღვანელი“.

მოკლედ ეს შეიძლებოდა ასე გეთქვა: „ცუდად მომუშავე დირექტორებმა ვერ გაიგეს, რომ საჭიროა კარგად მუშაობა“.

როგორც ხედავთ, „აფორიზმია“.

და სხვ. და სხვ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი სუსტად აშუქებს პარტიულ ცხოვრებას, ნაკლებად სწერს პროფორგანიზაციების გადარჩევაზე, ცუდად აშუქებს სკოლებში შესამოწმებელი გამოცდების მიმდინარეობას და სხვ. გაზეთში გვხვდება აგრეთვე სტილისტური შეცდომები და გრძელი, გაუმართავი წინადადებები. ვფიქრობთ, დროა განათლების სახალხო კომისარიატმა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღონ საჭირო ზომები გაზეთის მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის ახალგაზრდა სტახანოველთა შეკრება

6 ივნისს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის ახალგაზრდა სტახანოველთა შეკრება. შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე კაცმა. გზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძის მოხსენების გამო სიტყვა წარმოსთქვა 27 ამხანაგმა.

— ბორჯომის კვანძის 92 კომკავშირელთა შორის, — სთქვა გზის ხაშურის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწემ კომკავშირელთა შორის მუშაობის ხაზით ამხ. გ. სალარიძემ, — 86 სტახანოველია, ხოლო დანარჩენი — დამკვრელები. ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს საუკეთესო მემანქანეს ამხ. ფეიქრიშვილს ჩინებულად დაჰყავს მძიმეწონიანი მატარებლები.

მემანქანე ამხ. ლეკვეიშვილის კომკავშირული ბრიგადა,—აღნიშნა თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ, — სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ბრიგადა იძლევა საათობრივ ეკონომიას 17 პროცენტის რაოდენობით და ურემონტოდ და უწუნოდ მუშაობს. ნიჟნედნეპროვსკის კვანძის დეპოს კოლექტივთან გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომკავშირელები ავანგარდში არიან. ამხ. შ. ხიზანიშვილის კომპლექსურმა კომკავშირულმა ბრიგადამ პირველ ქვარტალში გეგმის გადამეტებით 13 ორთქლმავალი გამოუშვა გარეცხვიდან. სანიმუშო მუშაობისათვის და ბრიგადის მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ამხ. ხიზანიშვილი სტალინური სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ დაჯილდოებულია სახელწარწერილი საათით.

გზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. გ. ესაკიამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მხურვალე გამოძახილი და დახმარება ჰპოვა გზის მთელი კოლექტივის მხრივ ბაქოს საორთქლმაველო დეპოს კრივონოსელ-კომკავშირელების ამხ. რიკუნოვის, კირიუხინის, კასიმოვისა და სხვების თაოსნობამ თავდაცვა-ავიაქიმის სახელობის ორთქლმავალთა კოლონის მოწყობის საქმეში. იმ ბრიგადებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ორთქლმავლებს, არიან თავდაცვა-ავიაქიმის საუკეთესო აქტივისტები. მემანქანეებს თავდაცვის ორ-ორი ნიშანი მაინც აქვთ, დაუფლებული არიან ერთ-ერთ სამხედრო სპეციალობას და იციან მატარებლების ტარება აირწინაღებით მუშაობის დროს.

ახალგაზრდა სტახანოველები მოუწოდებდნენ, რათა უფრო ფართოდ იქნას გაჩაღებული ბრძოლა ამ ნაკლოვანებებთან.

რკინიგზელის სტალინურ დღეს — 30 ივლისს ახალი გამარჯვებებით უნდა შეეხვედროთ,—ამბობდნენ ისინი.

შეკრებამ მიმართვა მიიღო ა/კ. რკინიგზის ყველა ახალგაზრდა სტახანოველის, კრივონოსელის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მეთაურისადმი.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალსა და ოვაციებში შეკრებამ დაამტკიცა ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

მისალმებანი გაეგზავნა აგრეთვე სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარს ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩს** და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. **ლ. პ. ბერიას.** (საქდესი).

ჟანრები შეკითხვებზე

ვერსალის საზავო ხელშეკრულება

ვერსალის საზავო ხელშეკრულება მოკავშირე სახელმწიფოებსა (ინგლისსა, საფრანგეთსა და სხვ.) და გერმანიას შორის, რითაც დამთავრდა პირველი იმპერიალისტური ომი, ხელმოწერილ იქნა 1919 წლის 28 ივნისს.

ვერსალის ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად შეამცირა გერმანიის ტერიტორია გამარჯვებულთა სასარგებლოდ. გერმანია იძულებული იყო დაებრუნებინა საფრანგეთისათვის ელზას - ლორენი, რომელიც საფრანგეთს ჩამოერთვა საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად 1871 წელს. საფრანგეთისა და გერმანიის ძირითადი საზღვარი გახდა რეინი. ლორენის მეზობლად მდებარე საარის ოლქს, რომელიც მდიდარია ქვანახშირით, ოკუპაცია უყო საფრანგეთმა, რომლის საკუთრებაშიც გადავიდნენ საარის ქვანახშირის მაღაროები იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც გერმანიის ოკუპაციამ მიაყენა საფრანგეთის ქვანახშირის მრეწველობას ომის დროს. ეიპენის და მალმედის ოლქები გადაეცა ბელგიას. საკმაოდ დიდი ტერიტორია დაკარგა გერმანიამ აღმოსავლეთშიც. გერმანიას ჩამოერთვა მთელი პოზნანი, დასავლეთ პრუსიის ნაწილი და სილეზიისა და პომერანიის ნაწილი. ყველა ეს ფართო ტერიტორია შევიდა პოლონეთის ახლად შექმნილი სახელმწიფოს შემადგენლობაში. პოლონეთის სამფლობელოებმა დასავლეთ პრუსიაში და პომერანიაში, რომლებიც ბალტიის ზღვის სანაპიროს აღწევენ, შეჰქმნეს „კორიდორი“, რომელმაც აღმოსავლეთი პრუსია დააშორა დანარჩენ გერმანიას. ბალტიის უდიდესი ნავსადგური დანციგი ჩამოერთვა გერმანიას და გადაქცეულ იქნა „თავისუფალ ქალაქად“ ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. გერმანიამ დაჰკარგა აგრეთვე ბალტიის ზღვის ნავსადგური მემელი, რომელიც გადაეცა ანტანტის სახელმწიფოებს და შემდეგ ლიტვის ხელში გადავიდა. აღმოსავლეთ პრუსიაში და ზემო-სილეზიაში ვერსალის ხელშეკრულებით გამოყოფილ იქნა რამდენიმე ოლქი იმისათვის, რომ საკითხი—ვისი კუთვნილება უნდა ყოფილიყვნენ ისინი, გერმანიისა თუ პოლონეთისა, გადაეწყვიტა თვით მოსახლეობას კენჭისყრით (პლებისციტი). პლებისციტის შედეგად, რომელიც მოხდა 1921 წელს, მრეწველობის მხრივ უმნიშვნელოვანესი ნაწილი ზემო-სილეზიისა ერგო პოლონეთს. ელზას-ლორენის, საარის ბასეინისა და ზემო-სილეზიის ჩამორთმევით გერმანიამ დაჰკარგა თავისი რკინის მადნის 70 პროცენტი და ქვანახშირის 33 პროცენტი. გერმანიამ დაჰკარგა ევროპის გარეშე მდებარე თავისი სამფლობელოები (კოლონიები), კერძოდ გერმანიის აღმოსავლეთი აფრიკა (ტანგანაიკას ტერიტორია) ერთა ლიგის მანდატით გადაეცა დიდ ბრიტანეთს. კოლონიები ტოგო და კამერუნი დასავლეთ აფრიკაში ერთა ლიგის მანდატებით განაწილდა დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა და ბელგიას შორის. სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა ერთა ლიგის მანდატით გადაეცა ბრიტანეთის დომინიონს — სამხრეთ - აფრიკის კავშირს. გერმანიის კოლონიური სამფლობელოები წყნარ ოკეანეში განაწილდა ისე, რომ ბრიტანეთის დომინიონებმა — ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ — მიიღეს მანდატები იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ეკვატორის სამხრეთით (ახალი გვინეის ნაწილი, ბისმარკის არქიპელაგი და სხვა კუნძულები), ხოლო იაპონიამ მიიღო მანდატი ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულებზე (მარიანის კუნძულები, პელიუ, კაროლინის და მარშალის კუნძულები).

ვერსალის ხელშეკრულებამ გერმანია აიძულა ეცნო ომისათვის მისი პასუხისმგებლობის პრინციპი, ხოლო აქედან მოკავშირე და მათთან გაერთიანებული სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეებისათვის ომით მიყენებული ყველა ზარალის სრული ანაზღაურების (რეპარაციის) ვალდებულება (იმ ხარჯების გამოკლებით, რაც გაღებული იყო უშუალოდ ომის საწარმოებლად. სარეპარაციო გადასახადები და ნატურით ანაზღაურება მძიმე ტვირთად დააწვა ომს შემდეგდროინდელი გერმანიის ეკონომიკას. მათი სიმძიმე გერმანიას მსხვილმა ბურჟუაზიამ ხალხის ფართო მასებს გადააკისრა.

ამ პირობების უზრუნველსაყოფად ვერსალის ხელშეკრულებამ დააწესა სამხედრო ხასიათის სათან

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თავდაცვითს მუშაობას

საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და გავვატკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი...

ი. სტალინი

პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობა თავდაცვითი საქმისადმი

ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლულის კვანძის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამ ყრილობაზე ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და თავდაცვის რკინის საკომის, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალის ამხანაგ ვოროშილოვის მითითებათა საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია გასული წლის ოქტომბრამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერებას. თავდაცვა-ავიაქიმი თითქმის ფორმალურად არსებობდა, რის გამო 1938 წლის იანვრისათვის კვანძზე თავდაცვა-ავიაქიმის წევრი იყო მხოლოდ 167 კაცი.

გასული წლის ოქტომბერში კვანძის პარტბიუროს ინიციატივით ცალკეულ პირველად პარტორგანიზაციებში ჩატარდა ღია პარტიული კრებები, რომლებზედაც მოისმინეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის თავმჯდომარეთა მოხსენებები და დასხეს პრაქტიკული ღონისძიებები თავდაცვითი მუშაობის გარდაქმნისათვის. ასეთივე პარტიული კრებები ჩატარდა დეკემბერშიც.

პარტიული ორგანიზაცია სათაოში ჩაუდგა თავდაცვა-ავიაქიმის ხელმძღვანელი კადრების განმტკიცებას და პასუხსაგებ სამუშაოებზე თავდაცვის საქმის პატრიოტების გაბედულად დაწინაურებას, რის შედეგადაც საქმოდ გაუმჯობესდა თავდაცვითი მუშაობა მთელს კვანძზე. ამჟამად კვანძზე მომუშავე 215 ჟომუნისტი და 230-მდე კომკავშირელი—ყველა თავდაცვა-ავიაქიმის აქტიური წევრებია. 1267 მუშა-მოსამსახურიდან თავდაცვა-ავიაქიმის წევრია 1130. კაცი. ახლა აქ არის თავდაცვა-ავიაქიმის 8 პირველადი ორგანიზაცია, რომელთაგან 3 ახლახან ჩამოყალიბდა (საქონლის სადგურში, კავშირგაბმულობაში და სარემონტო განტორაში).

XVIII პარტყრილობის მოწვევასთან და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობის 21 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ნავთლულის კვანძის პარტბიუროს ინიციატივით ჩამოყალიბდა თავდაცვითი მნიშვნელობის სხვადასხვა სახის წრეები. საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმები ჩაბარა 1090 კაცმა. პირველი საფეხურის ვოროშილოვისებური მსროლელები უნდა მოემზადებინათ 23 კაცი, ნამდვილად კი მოამზადეს 83. ამ ამხანაგებიდან 23 უკვე ემზადება ნორმების ჩასაბარებლად სროლის ოსტატობის ნიშანზე, 2 ამხანაგმა კი ეს ნორმები უკვე ჩააბარა. საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ინსტრუქტორებად წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მომზადდა 15 ამხანაგი, რომლებიც გამოყენებული არიან თავდაცვითი წრეების ხელმძღვანელებად დიასახლისებთან.

ეს დიასახლისებმა კარგად იციან, რომ ჩვენ ვიმყოფებით მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში და რომ საჭიროა მთელი საბჭოთა ხალხი ვიყოლიოთ სრული მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში. მაგალითად, გასული წლის იანვარში თუ არცერთი დიასახლისი არ იყო თავდაცვა-ავიაქიმის წევრი, ამჟამად 162 დიასახლისი თავდაცვა-ავიაქიმის აქტიური წევრია. ქალთა თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლიზა გაბაშვილის ინიციატივით 85 დიასახლისმა ჩააბარა ნორმები საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნიშანზე. მათ სამჯერ მოაწყეს ქიმიური ლაშქრობა აირწინაღებით, პირველად 4, მეორედ 6 და შემდეგ 10 კილომეტრის მანძილზე. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 125 დიასახლისმა. მათთვის ჩამოყალიბებულია თვითდაცვის ჯგუფი, რომელიც დაყოფილია 5 რგოლად (სახანძრო, ქიმიური, წესრიგის დაცვის, სანიტარული და კავშირგაბმულობის). ამ წრეებში დიასახლისები საუკეთესოდ ეუფლებიან სამხედრო ტექნიკის ერთერთ დარგს. ვოროშილოვისებური სროლის პირველი საფეხურის ნიშანზე ნორმები ჩააბარეს დიასახლისებმა ამხ. რევიშვილმა და შარაულმა, ხოლო საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნიშანზე—ამხ. ქსოვრელმა, ონანაშვილმა, გურასაშვილმა, წიქორიშვილმა და სხვ.

ენერგიულად მუშაობს კვანძის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუტულაშვილი და საავგონო საამქროს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური ტრანსპორტის წარჩინებული სტახანოველი ამხ. შ. პლახტა. ამ საამქროში წინათ თავდაცვა-ავიაქიმის წევრი იყო მხოლოდ 9 კაცი. თავდაცვა-ავიაქიმის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. კალატოზაშვილი თვითონაც არ იყო მისი წევრი, ხუთი თვეა, რაც ამხ. პლახტა პარტორგანიზაციის მიერ წამოყენებულ იქნა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ხელმძღვანელად. ამ მოკლე ხანში 190 მოწინავე ტრანსპორტელი იქნა მიღებული თავდაცვა-ავიაქიმის წევრად და 32 კაცმა ჩააბარა ნორმები ვოროშილოვისებური სროლის პირველი საფეხურის ნიშანზე.

კვანძის პარტბიურომ კლუბთან მოაწყო სამხედრო ოთახი, რომელშიც თავდაცვის საკითხებზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება საინტერესო ლიტერატურა, არის აგრეთვე სამხედრო იარაღები, შაშხანა და სხვ.

ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები პირადი მაგალითის ჩვენებით ავანგარდულ როლს ასრულებენ თავდაცვითი მუშაობის დარგში. მაგალითად, კვანძის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ლუარსაბოვმა უკვე ჩააბარა ნორმები ვოროშილოვისებური სროლის პირველი საფეხურის ნიშანზე. ასევე მოწინავენი არიან ა. მაკოევი (ლიანდაგის სარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ნ. მღებრიშვილი (საავგონო საამქროს პარტორგი), ი. ბოჭორიშვილი (მცველთა რაზმის პარტბიუროს მდივანი), აკოფოვი (მილიციის პარტბიუროს მდივანი), ლ. მაისაშვილი (ლიანდაგის სარემონტო ქარხნის უფროსი), გ. ქუტულაშვილი (საავგონო საამქროს უფროსი), ჟ. აღნიაშვილი (მილიციის უფროსი) და სხვ.

მაგრამ თავდაცვითი მუშაობა კვანძზე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების წინაშე XVIII პარტყრილობამ და ამხანაგებმა სტალინმა და ვოროშილოვმა დააყენეს. სუსტია თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა შორის მასობრივი მუშაობა, თავდაცვითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის ნაკლებად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. თუმცა ნავთლულის კვანძის პარტბიუროს შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს თბილისის კვანძის პარტბიურო, მაგრამ ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების თბილისის განყოფილებას შესრულების შედეგები დღემდე არ შეუმოწმებია.

ალ. გოგოლაძე



თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის კომუნისტები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ნორმები მეორე საფეხურის ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშანზე, სწავლობენ ტყვიამფრქვევის შემადგენელ ნაწილებს. მეცადინეობას ხელმძღვანელობს წვევამდელი ვ. კუდრენკო.

ფოტო რ. აკოფოვისა

გადავაქციოთ ყოველი კოლმეურნეობა თავდაცვის ციხე-სიმაგრედ

გეგუთის (ქუთაისის რაიონის) კოლმეურნეობა „წინსვლის“ წერილი საქართვე. ლოს უველა კოლმეურნეობასა და კოლმეურნეს

საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილი ხალხები თავისი საყვარელი ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდიან წინ კომუნიზმისაკენ. დღეს სსრ კავშირის თვითეულმა მშრომელმა იცის, რომ ჩვენი ქვეყანა არსებობს და ვითარდება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. პირსისხლიანი ფაშიზმი ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას აწყობს მშრომელთა დასამონებლად. უკვე დაიწყო მეორე იმპერიალისტური ომი, რომელმაც „თავის ორბიტში ჩაითრია ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა, გაავრცელა რა თავისი მოქმედების სფერო უდიდეს ტერიტორიაზე — ტიანშინიდან, შანხაიდან და კანტონიდან ატლანტიკამდე“ (სტალინი).

ჩვენ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცქიროთ ამ ამბებს. ჩვენი მთავრობა თანმიმდევრობით იცავს სამშვიდობო პოლიტიკას და ცდილობს საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს კონფლიქტში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. ჩვენი არმია, საზღვაო და საჰაერო ფლოტები საღ-ჯლეს ივით დგანან წითელ საზღვარზე და მზად არიან ორმაგი დარტყმით უპასუხონ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობის შენარჩუნება, მოსალოდნელ ომში სწრაფი გამარჯვება და მტრის საბოლოო განადგურება დამოკიდებულია ჩვენს სამხედრო ძლიერებაზე, ჩვენი თავდაცვითი-უნარიანობის განმტკიცებაზე. ჩვენი ვალია სახელოვანი წითელი არმიისა და წითელი საზღვაო და საჰაერო ფლოტების კიდევ უფრო გაძლიერებასთან ერთად ფართოდ გავშალოთ მოსახლეობაში მასობრივი თავდაცვითი მუშაობა, გავაძლიეროთ თავდაცვა-ავიაქიმის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების მუშაობა, გადავაქციოთ ყოველი საწარმო, ყოველი კოლმეურნეობა თავდაცვის ციხე-სიმაგრედ.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გავშალეთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა. ჩვენი კოლმეურნეობა „წინსვლა“ 533 წევრს აერთიანებს, აქედან კი თავდაცვა-ავიაქიმის წევრია მხოლოდ 60 კაცი. ჩვენ მხოლოდ 20 ვოროშილოვისებური მსროლელი გვყავს. ამ მოკლე ხანში ჩამოვაყალიბეთ მსროლელთა წრე, რომელსაც დემობილიზებული წითელარმიელი, ჩვენი კოლმეურნეობის წევრი, ამხ. ვლ. ამაღლობელი ხელმძღვანელობს. ჩვენ გავავრცელეთ თავდაცვა-ავიაქიმის მე-13 ლატარიის 600 მანეთის ბილეთი.

ცხადია, ამხანაგებო, რომ ეს არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ კარგად გვახსოვს XVIII პარტყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გაშლის შესახებ. ამ გადაწყვეტილებებს საფუძვლად ვუდებთ მთელს ჩვენს საქმიანობას და ვიღებთ კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა სანამუშოდ მოვაწყოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა ჩვენს კოლმეურნეობაში.

უახლოეს ხანში მივაღწევთ იმას, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში ჩავაბათ ყველა კოლმეურნე, დავაინტერესოთ ისინი ამ ორგანიზაციის მუშაობით; მოვამზადოთ ვოროშილოვისებური მსროლელები — პირველი საფეხურისა — 100 და მეორე საფეხურისა — 40.

საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმები ჩააბაროს: პირველი საფეხურისა 150 და მეორისა—20 კოლმეურნემ;

შევიძინოთ 25 ცალი სასწავლო აირწინაღი. თავდაცვა - ავიაქიმელ კოლმეურნეებს პირადი სარგებლობისათვის შევაძენინოთ 100-ზე მეტი აირწინაღი;

მოვაწყოთ ცხენოსნობის შემსწავლელი წრე და კოლმეურნეებიდან მოვამზადოთ 10 ვოროშილოვისებური მხედარი;

მოვამზადოთ „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ პირველი საფეხურის ნიშნოსანი — 40 და „მზად ვარ სანიტარულ თავდაცვისათვის“ ნიშნოსანი — 20.

ამხანაგო კოლმეურნეებო! ვიღებთ რა ამ ვალდებულებებს, ჩვენ ვუერთდებით საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდებას მასობრივ-თავდაცვითს მუშაობაში რკინისებური დისციპლინის დამყარების შესახებ. ჩვენ ეს მოგვაჩნია დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ. მილიონერი კოლმეურნეობა „წინსვლა“ მოგიწოდებთ თქვენ, საქართველოს ყველა კოლმეურნეობასა და კოლმეურნეს—ფართოდ გავშალოთ მასობრივი თავდაცვითი მუშაობა და ამ საქმეში ჩავაბათ ყველა კოლმეურნენი. სამხედრო საქმის შესასწავლად გამოვიყენოთ დემობილიზებული წითელი მეთაურები და წითელარმიელები. საქმე ისე მოვაწყოთ, რომ მთელი ჩვენი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, როგორც ჩვენი ბელადი და მასწავლებელი — „ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენ გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვასწროს მოუმზადებელს...“

ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თვითეული კოლმეურნეობა და ჩვენი თვითეული სოფელი გადავაქციოთ თავდაცვის ციხე-სიმაგრედ.

კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრთა დავალებით: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **იონა ფესტვენიძე**, პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი — **რ. ბოდოკია**, თავდაცვა-ავიაქიმის საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარე—**ვლ. ამაღლობელი**, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი **რ. დათიაშვილი**, თავდაცვა-ავიაქიმის წევრები—კოლმეურნეები: **ი. მუშკუდიანი, შ. კილაძე, გრ. კვაჩიძე, ვ. ბერაძე, ს. მუშკუდიანი.**

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კრივონოსელი მემანქანეები აბარებენ ნორმებს ვოროშილოვისებურ მსროლელის ნიშანზე. (მარცხნიდან მარჯვნივ): ს. კოშაძე, ს. კოშორიძე, შ. ფურცელაძე და ს. ლეკვეიშვილი.

(საქდესის ფოტოქრონიკა)

ჩვენ ხალხს უყვარს მშვიდობიანობა, აფასებს მის დიად სიკეთეს და იბრძვის მშვიდობიანობისათვის მთელ მსოფლიოში. მაგრამ მან ბრძოლაც იცის. და არა მარტო იცის, არამედ უყვარს კიდევაც ბრძოლა. და თუ გათავ. ხელდებული აგრესორები ოდესმე აიძულებენ საბჭოთა ხალხს ხელი მოჰკიდოს იარაღს, იგი ისეთივე მგზნებარებითა და უნარით იბრძოლებს, როგორითაც იგი ამარცხებდა თავის მტრებს 17 წლის წინათ, როგორითაც აშენებს ახლა თავის ახალ სოციალისტურ ცხოვრებას, და ხელს არ უშვებს იარაღს სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე.

კ. ვოროშილოვი

ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ

(ფოთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ მასობრივ-თავდაცვითს მუშაობას. მოიპოვებიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლების წევრ-კანდიდატთა უმრავლესობა თავდაცვა-ავიაქიმის წევრიც არ არის, ხოლო პირველად პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყოველივე ამას გულდამშვიდებით უყურებენ.

მაგალითად, სუსტად მუშაობს ფოთის ქალაქის საბჭოს პირველადი პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გრ. ახალაძე). ქალაქის საბჭოში მომუშავე 86 კაციდან თავდაცვა-ავიაქიმის წევრია 37, მათ შორის კომუნისტი მხოლოდ 10 კაცია. მიმდინარე წელს პარტორგანიზაციას სრულებით არ განუხილავს მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის საკითხები. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას წრეობრივი მუშაობის საწარმოებლად არ გააჩნია (გარდა აირწინაღებისა) სასწავლო ინვენტარი, მსროლელთა წრე ცუდად მუშაობს და სხვ.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია 53 წევრს აერთიანებს, მათ შორის კომუნისტი მხოლოდ 4 კაცია. ცუდად მუშაობს თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაცია (ხელმძღვანელი დ. აფხაზავა), ავიაქიმის წევრთა აღრიცხვა მოუწესრიგებელია, ავიაქიმის ორგანიზაციის კრება მხოლოდ ერთხელ ჩატარდა, რომელზედაც მხოლოდ ახალ წევრთა მიღების საკითხი განიხილეს. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტორგი ლ. გუგუშვილი) ერთხელ მოისმინა თავდაცვითი მუშაობის შესახებ, მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ არის გამოსწორებული.

„უგოლექსპორტის“ ფოთის განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტორგი ი. ხოშტარია) სრულებით არ აქცევს ყურადღებას თავდაცვითი მუშაობის საკითხებს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პარტორგანიზაციის კრებაზე მოსმენილ იქნა თავდაცვა-ავიაქიმის ხელმძღვანელის მოხსენება, მაგრამ მოხსენების ირგვლივ ღონისძიება არც კი დაუსახავთ; აქ მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია, მუდამ სათავდაცვო მუშაობის სახსრების უქონლობაზე წუწუნებენ, სინამდვილეში კი ადგილკომს ხარჯთაღრიცხვაში 400 მანეთი აქვს გათვალისწინებული თავდაცვითი მუშაობის საწარმოებლად, მაგრამ იგი არ გამოუყენებიათ.

ასევე სუსტად მუშაობენ თავდაცვის საკითხებზე კომუნალური მეურნეობის, სარეწო არტელების და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სოფლის პარტორგანიზაციებმაც (ყოლევი, ჭალადიდი და პატარა ფოთი) მხედველობიდან გაუშვეს თავდაცვითი მუშაობა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ სოფლის პარტორგანიზაციათა კრებებზე თავდაცვითი მუშაობის საკითხები ერთხელაც არ მოუსმენიათ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხრით თავდაცვითი მუშაობისადმი უყურადღებობა აიხსნება იმითაც, რომ თვით პარტიის საქალაქო კომიტეტი არათანმიმდევრულად მუშაობდა ამ საკითხებზე. ბოლო დრომდე მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაშლის საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროს არ განუხილავს.

ზ. მელიქია

სურვილი დიდი აქვთ, მაგრამ...

წითელწყაროს რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს დიდი სურვილი აქვთ გაერთიანდნენ სამხედრო საქმის შემსწავლელ წრეებში, მოისმინონ საუბრები, ლექციები, მოხსენებები თავდაცვითს საკითხებზე, გახდნენ ვოროშილოვისებური მსროლელები, რაც შეიძლება კარგად აითვისონ სამხედრო ტექნიკა.

— გვსურს მომზადებული წავიდეთ წითელ არმიაში, შეგვიძლია წინასწარ ვისწავლოთ ვოროშილოვისებური სროლა, ავითვისოთ შაშხანა, მაგრამ ხელს არავინ გვიწყობს,—ასე აცხადებენ ახალგაზრდა კოლმეურნეები. სამწუხაროდ, პარტორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევს კოლმეურნეთა სურვილებს. პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. ბეგიაშვილი ნაკლებად იბრძვის თავდაცვითი მუშაობის გაშლისათვის.

საკმაოდ ძლიერია ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. მასში 150-ზე მეტი კომლია გაერთიანებული. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში კი 40 წევრი ირიცხება. თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის ორგანიზატორი ამხ. ვ. ბეგიაშვილი დაინტერესებული არ არის ამ საქმით. მხოლოდ თვეში ერთხელ მოაგონებს ზოგიერთ კოლმეურნეს, რომ თავდაცვა-ავიაქიმის წევრი გახდეს, სხვა მხრივ კი მუშაობით თავს არ იტკივებს.

კოლმეურნეობის გამგეობამ შეიძინა მცირეყალიბიანი შაშხანა, მოაწყო სამხედრო კუთხე, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ კი ვერ უზრუნველჰყო მისი გამოყენება.

არ შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობას არა ჰყავს ვოროშილოვისებური მსროლელები, მაგრამ თუ რამდენი კოლმეურნე დაეუფლა სროლას, რამდენი გახდა ვოროშილოვისებური მსროლელი, ეს არავინ იცის. ამის შესახებ არავითარი მასალა არ მოიპოვება პარტიულ და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში.

წითელწყაროს თავდაცვა-ავიაქიმის რაიასაბჭო სუსტად ხელმძღვანელობს თავდაცვა-ავიაქიმის აღნიშნულ პირველადს ორგანიზაციას. რაიასაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ზ. ბენაშვილი კოლმეურნეობის იშვიათი სტუმარია.

ძვ. ანაგის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მიმდინარე წელს ერთხელაც არ განუხილავს კოლმეურნეობაში თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

მ. თევზაძე

ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროს ოსტატი, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თავმჯდომარე ისაკ სუხიშვილი, ვოროშილოვისებური მსროლელი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ფართოდ გავშალოთ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ გარკვეული მითითება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაძლიერების შესახებ. ეს საქმე დღემდე ყველგან როდი იდგა ყურადღების ცენტრში. ყრილობის მითითების შემდეგ კი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ადგილებზე უკვე ხშირად იხილავენ თავდაცვითი მუშაობის საკითხებს და იღებენ სათანადო ღონისძიებებს არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ბევრი საინტერესო ფაქტი გამოირკვა ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობის განხილვისას.

ამ საკითხზე მოსმენილ იქნა ამხ. მ. სტარცევის მოხსენება. კამათში გამოვიდა 8 ამხანაგი.

პლენუმზე გამოირკვა, რომ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა აფხაზეთში, მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, მაინც ჩამორჩენილია. პარტიული ორგანიზაციები, თავდაცვა-ავიაქიმის აფხაზეთის ცენტრალური, საქალაქო და რაიონული საბჭოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. ყველა წარმოებასა, კოლმეურნეობასა და დაწესებულებებში არ არის შექმნილი თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები. თავდაცვა-ავიაქიმის რიგების ზრდა ჩამორჩენილია. ყველა კომუნისტი და კომკავშირელი არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას თავდაცვითს მუშაობაში.

ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: აფხაზეთში ათასზე მეტი საწარმო, დაწესებულება და სხვადასხვა ორგანიზაციაა, 257 კოლმეურნეობა და 462 სკოლა, თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა კი მხოლოდ 459-ს აღწევს. გალის რაიონში, სადაც მრავალი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობები და ჩაის ფაბრიკებია, შექმნილია მხოლოდ 74 პირველადი ორგანიზაცია. აფხაზეთში თავდაცვა-ავიაქიმის წევრია 1.454 კომუნისტი, ანუ კომუნისტთა საერთო რაოდენობის 32 პროცენტი, ხოლო კომკავშირელებიდან — 8.905 კაცი — კომკავშირელთა საერთო რაოდენობის 42 პროცენტი.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები უყურადღებოდ ეკიდებიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეს. მაგალითად, აფხაზავაჭრობის პირველად პარტიულ ორგანიზაციას (ქალაქი სოხუმი) 1939 წელს ერთხელაც არ განუხილავს მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის საკითხი. ამ დაწესებულების კომუნისტებიდან მხოლოდ ორია თავდაცვა-ავიაქიმის წევრი. „საქავტოტრანსის“ სოხუმის

გ. მერკვილაძე

განყოფილების პარტიულ ორგანიზაციას სრულებით არ გახსენებია თავდაცვითი მუშაობის საკითხი. 27 კომუნისტიდან თავდაცვა - ავიაქიმის წევრია ორი კაცი. კოდორის ხეტყის ქარხანაში 35 კომუნისტი ირიცხება, აქედან თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის ირიცხება (ისიც ფორმალურად!) მარტო 4 ამხანაგი. ასეთივე სურათია მთელ რიგ სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში (კოდორის საბჭოთა მეურნეობა, სოხუმის რაიონის სოფ. მერხეული და სხვ.), სადაც მასობრივ-თავდაცვითს მუშაობას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

თავდაცვა - ავიაქიმის აფხაზეთის ცენტრალურმა საბჭომ ვერ გაითვალისწინა თავისი მუშაობა. აქ მეტ დროს ლაყბობასა და ჩამორჩენის მიზეზების ძებნაში ატარებენ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. მარჭვა ექვსი თვეა ამ თანამდებობაზე მუშაობს. აქედან ორი თვე მივლინებაში გაატარა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს მივლინებები ადგილებზე მოეწყო. პირიქით, 41 დღე თბილისში გაატარა, 15-მოსკოვში და მხოლოდ 4 დღე მოახმარა გაგრის რაიონში ორჯერ მივლინებას. ცხადია, ასეთი „ოპერატიული“ მუშაობა კარგ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა თავდაცვა-ავიაქიმის კადრების მომზადებას და მათს სათანადო გამოყენებას. მაგალითად, აფხაზავაჭრობის კომკავშირულ ორგანიზაციას ჰყავს ორი ამხანაგი, რომლებიც სპეციალურად მომზადებულ იქნენ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის წარმოებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით გამოყენებული არ არიან. თავდაცვითი მუშაობა კი აქ, როგორც ზევით ითქვა, ჩამორჩენილია.

თავდაცვა-ავიაქიმის ქალაქ სოხუმის საბჭოს (თავმჯდომარე—ამხ. ავჯიანი) დღემდე ისიც ვერ მოუხერხებია, რომ საპარაშუტო კომკავიამოქმედებინა. ეს კოშკი, რომელიც ქალაქის ცენტრშია აგებული, უქმად დგას იმის გამო, რომ (თუ საბჭოს მუშაკებს დავუჯერებთ) გალაქული არ არის. ცხადია, გალაქვა საჭიროა, მაგრამ უმოქმედობის ასახსნელ მიზეზად მაინც არ გამოდგება.

წითელი ჯვრის ორგანიზაცია დიდ როლს ასრულებს თავდაცვითს მუშაობაში. მაგრამ წითელი ჯვრის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმში თავიანთი მუშაობა დაივიწყეს. პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პაპბა მოუქნელი კაცია. წითელი ჯვრის ორგანიზაციებს თავიანთი წევრების აღრიცხვაც კი არ მოეპოვებათ და მხოლოდ დაახლოვებით ანგარიშობენ, რომ მათს რიგებში 20.000 (მრგვალი ციფრა, არც მეტი, არც ნაკლები!) წევრია.

წითელი ჯვრის ოლქკომს უნდა მოეწყო თავდაცვის 6 საღამო, — არცერთი არ მოუწყია. უნდა ჩაეტარებინა 24 ლექცია-საუბარი.—არცერთი არ ჩაუტარებია; წითელი ჯვრის ორგანიზაციების 20 თავმჯდომარე უნდა გადამზადდეს, მაგრამ ეს მუშაობა არ დაწყებულა.

გასულ წელს ოლქკომმა თავისი ორგანიზაციებისათვის მოამზადა 50 ინსტრუქტორი, მაგრამ დღეს არ იცის, სად არიან ისინი. მ. პაპბა ყოველთვის გაიძახის, რომ მას არა ჰყავს სათანადო კადრები—სჭირდება ორი კაცი. აფხაზეთში დიდია თავდაცვითი საქმის აქტივი, მაგრამ პაპბამ ვერ შესძლო აქედან ვისიმე დაწინაურება. პარტიის და კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტებმა მას მრავალჯერ მუშაკი გაუგზავნეს, მაგრამ, ცდილობდა რა შეენახა თავისი გასამართლებელი „მიზეზი“, პაპბამ დაუწყო მათ დაშინება, —„აქ დიდი სამუშაოებია, თქვენ ვერ შესძლებთო“. და სხვ.

პლენუმზე თავისი გამოსვლა ამხ. პაპბამ მთლიანად მოანდომა თავის მართლებას და არაფერი სთქვა წითელი ჯვრის მუშაობის ნაკლოვანებებზე. როცა მან მოიმიზეზა კადრების უყოლობა და ამით ახსნა სუსტი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში არსებული პირველადი ორგანიზაციებისადმი, მას ჰკითხეს:

— თვითონ თქვენ რამდენი კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციაში ყოფილხართ ხელმძღვანელობის გასაწევად?

— კოლმეურნეობებში ხშირად ვარ, — უპასუხა პაპბამ,—მაგრამ წითელი ჯვრის ორგანიზაციებს ხელმძღვანელობისათვის დრო აღარ მრჩებაო...

ამა რას უნდა ანდომებდეს დროს პაპბა, თუ არა თავის ორგანიზაციების ხელმძღვანელობას?

წითელი ჯვრის რაიონული საბჭოების მუშაობა სუსტია. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის წითელი ჯვრის საბჭოს (თავმჯდომარე—ამხ. ამუბა) დღემდე თითქმის სრულებით არ გაუშლია მუშაობა. ისეთ დიდ საწარმოში, როგორიცაა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, შექმნილი არ არის წითელი ჯვრის უჯრედი, ასეთივე მდგომარეობაა კოდორის საბჭოთა მეურნეობაში, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში და ა. შ.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დაავალა თვითეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ბოლშევიკურად უხელმძღვანელოს თავდაცვითს მუშაობას. რაიკომებსა და სოხუმის ქალაქკომს დაევალა ხშირად მოისმინონ პლენუმზე და ბიუროების სხდომებზე თავდაცვითი მუშაობის საკითხები.

პლენუმმა მიიღო პრ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՌԱՔՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՑԵՐԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՌԱՔՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՑԵՐԸ